# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 54 (74) | ოთხშაბათი, 20 მარტი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

## ბატონი ჯეიმს ბეიკერი: „საბჭოთა კავშირის გასვლის კანონს, ალბათ, დასჭირდება გარკვეული სრულყოფა“



[illegible]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების №669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად 1991 წლის 17 მარტს დაინიშნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნები.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ არჩევნებისთვის მზადების პერიოდში უხეშად დაირღვა „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნები.

მაგალითად, ქალაქ გაგრის ტერიტორიაზე შემოწმებული 44 საარჩევნო უბნიდან 37-ში საუბნო საარჩევნო კომისიების პერსონალურ შემადგენლობაზე არ არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია; გუდაუთის რაიონისათვის გათვალისწინებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობაზე 14 ათასით მეტია გაცემული; მთელ რიგ რაიონებში სრულყოფილად არ არის შედგენილი საარჩევნო სიები და ა. შ. ეს ფაქტები მიუთითებს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ შეასრულა საარჩევნო კანონით დაკისრებული მოვალეობები, რაც საეჭვოს ხდის არჩევნების შედეგების მართლზომიერებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 25 იანვრის დადგენილება „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების №669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შესახებ“.

2. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე დაისვას №669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში 1991 წლის 17 მარტს დანიშნული არჩევნების სხვა დროისათვის გადატანის საკითხი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 16 მარტი.

### ვინ ვინ არის

## გუმბარიძის უკანასკნელი „საჩუქარი“

გაგრის ქალაქკომის მდივანი ე. კაპბა, რომელმაც თავი ისახელა [illegible]

[illegible]

აგრეთვე ბიჭვინთის კურორტვაჭრობის მთავარი ბუღალტრის პოლონსკის წერილი საქართველოს სსრ პროკურატურისადმი 1980 წ.). ამ დანაშაულებში მონაწილეობისათვის ე. კაპბამ „საყვედური“ მიიღო და შემდგომში დაწინაურდა კიდეც, მისივე ინიციატივით არის დამუხრუჭებული დღემდე სისხლის სამართლის საქმე №00070 გაგრის საქალაქო პროკურატურაში. დღეს კი ე. კაპბა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი განყოფილების გამგეა.

3. ქ. ბიჭვინთაში ქართველი ეროვნების მოქალაქეებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების უკანონოდ წართმევისათვის ა. საბუა (ლიძავის კოლმეურნეობის იმჟამინდელი თავმჯდომარე), გ. დ. ანუა (აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განყოფილების უფროსი) და ვ. კარაპეტიანი (გაგრის აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი), მხოლოდ გაანთავისუფლეს თანამდებობიდან, 1977 წ. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1977 წ. 31 მარტის განკარგულებით 2-164. შემდგომში კი ა. საბუა გაზეთ „იზვესტიაში“ გამოწერეს თავისი დანაშაულებისათვის, მაგრამ იგი კვლავ დაწინაურდა და დღეს გაცილებით უფრო მაღალი და საპასუხისმგებლო პოსტი უკავია.

4. 1985 წლის 11 დეკემბერს კაპბამ და საბუამ ჩაიდინეს კიდევ ერთი მძიმე დანაშაული, მათ ალახაძის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ხ. უსტიანს დანიშვნით [illegible]

[illegible]

## რეფერენდუმის დღეს სოხუმში იყო უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფი

[illegible]

# К ТЕБЕ, ГРАЖДАНИН СССР!

Суверенные государства — участники Договора, выражая волю своих народов к обновлению Союза;
признавая право наций и народов на самоопределение;
исходя из провозглашенных республиками деклараций о государственном суверенитете;
учитывая близость исторических судеб, стремясь жить в дружбе и согласии, обеспечивая равноправное сотрудничество;
желая создать условия для всестороннего развития каждой личности и обеспечения надежных гарантий ее прав и свобод;
заботясь о материальном благосостоянии и духовном развитии народов, взаимообогащении национальных культур, обеспечении общей безопасности;
извлекая уроки из прошлого и принимая во внимание изменения в жизни страны и во всем мире,
решили на новых началах построить свои отношения в Союзе ССР.

*Это — строки из проекта Союзного договора. Строки, написанные временем, обращенные к нам, к нашему разуму.*

*Как ответим на важнейший вопрос — не дня, не года, а истории нашего государства*

*Сможем ли реализовать идею о новом Союзе, о своей обновленной жизни в нем?*

*Сможем, если 17 марта, на Всесоюзном референдуме, скажем: Да!*

### ГРАЖДАНЕ АБХАЗИИ!

**ЕСЛИ ВЫ ЖЕЛАЕТЕ МИРА И БЛАГОПОЛУЧИЯ В ВАШЕМ ДОМЕ, ЕСЛИ ВЫ ХОТИТЕ ЖИТЬ В ОБЩЕСТВЕ СВОБОДНОМ ОТ ЛЮБЫХ ФОРМ ДИСКРИМИНАЦИИ, ГОЛОСУЙТЕ ЗА ОБНОВЛЕННЫЙ СОЮЗ СУВЕРЕННЫХ РЕСПУБЛИК. ПОМНИТЕ! ОТ ВАШЕЙ ГРАЖДАНСКОЙ АКТИВНОСТИ ЗАВИСИТ ВАШЕ БУДУЩЕЕ!**

**БЛОК «СОЮЗ», «Аидгылара», «Крунк», Сухумское об-во интернационалистов, Народный союз «Абхазия», Демократическая партия Абхазии, Общество защиты социальных прав трудящихся Абхазии, молодежная организация «Нартаа».**

აფხაზეთის ასსრ-ში ასეთი ლოზუნგებით აქეზებდნენ საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისთვის ამომრჩევლებს.

## ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

[illegible] ევების საარჩევნო კამპანიაში გადამწყვეტი ეტაპი დადგა. უკვე რეგისტრირებული არიან და ბრძოლაში ჩაებნენ ყველა საარჩევნო ბლოკი, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პოლიტიკური პარტიები, დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატები. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ამომრჩეველთა სიების შესადგენად, საჭირო მოწყობილობით, მასალებით, კავშირგაბმულობით საარჩევნო უბნების აღსაჭურვად. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ 31 მარტს ამ მნიშვნელოვანმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა კამპანიამ, ისევე, როგორც ამ დღეს დანიშნულმა საერთო-რესპუბლიკურმა რეფერენდუმმა, ღირსეულად, მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩაიაროს.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანმა ლევან მესხმა აცნობა, რესპუბლიკაში შექმნილი რთული სიტუაციის მიუხედავად, არჩევნებისთვისაც და რეფერენდუმისთვისაც მზადება საერთოდ ნორმალურად მიმდინარეობს. ამის დამადასტურებელი დასტურია ადგილებიდან მიღებული ცნობებიც, ანგარიშებიც, რომლებსაც რეგულარულად წარუდგენენ ამ კომისიის სხდომებზე ტერიტორიული და საქალაქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელები. აი, 18 მარტს გამართულ მის მორიგ სხდომაზეც ინფორმაციები გააკეთეს თეთრი[illegible]გი ცნობილაძემ და იოსებ ხვთისიაშვილმა. როცა ისინი მოახსენებდნენ არჩევნებისათვის მზადების ამბავს, ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რა გაკეთდა და რა უნდა გააკეთონ, ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას და მთავარ ყურადღებას უთმობდნენ წამოჭრილ პრობლემებს.

საგულისხმოა, რომ სამივე რეგიონში, ისევე როგორც, სხვათა შორის, მთლიანად რესპუბლიკაშიც, მოსალოდნელია მწვავე ბრძოლა დეპუტატის მანდატებისათვის. თანაც, საარჩევნო ბლოკებისა და პარტიებისაგან მათზე პრეტენდენტებთან ერთად, საკმაოდ ფართოდ არიან წარმოდგენილი დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატებიც. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონში ასეთია 416 პრეტენდენტი 542-დან. ამომრჩეველთა ჯგუფებმა დაასახელეს თითქმის ყოველი მეოთხე კანდიდატიც ერთ ადგილზე საგარეჯოს რაიონის საკრებულოებში, სადაც 361 დეპუტატის მანდატზე პრეტენზიას აცხადებს 851 კაცი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ყველგან ბოლომდე არ გადაჭრილა არჩევნების და, შესაბამისად, რეფერენდუმის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები. მაგალითად, იმავე თეთრი წყაროს რაიონში მის ტერიტორიაზე შექმნილი 38 საარჩევნო უბნიდან 10 უბანში დღემდე არა აქვთ ტელეფონი. თავიანთი საარჩევნო უბნების აღჭურვასთან დაკავშირებული ზოგიერ[illegible]ბა იჯარით აიღონ შეღავათები[?], რათა ეს დოკუმენტაცია ოპერატიულად მიიტანონ რესპუბლიკის ყველაზე ძნელად მისადგომ რეგიონში. ცნობად იქნა მიღებული, რომ უკვე დასაბეჭდად მზად არის და უახლოეს დღეებში გამოვა პლაკატები, რომლებზეც დაბეჭდილია 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი და კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გასცენ რეფერენდუმის მონაწილეებმა, თანახმა არიან თუ არა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა ამ ისტორიული აქტის საფუძველზე. ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის მრავალეროვანი შემადგენლობის გათვალისწინებით, ორივე ეს პლაკატი გამოიცემა შვიდ ენაზე — ქართულ, აფხაზურ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და ბერძნულ ენებზე. ოთხ ენაზე — ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე გამოდის დოკუმენტების კრებული, რომელშიც დამოუკიდებლობის შესახებ იმავე აქტის ტექსტთან ერთად შეტანილია საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების, აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტები.

სხდომაზე განიხილეს არჩევნებისა და რეფერენდუმის მომზადებასა და მოწყობასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც.

საქინფორმი.

№1 დანართი

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოთა არჩევნების

ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

-----------------საკრებულოს---------------№------საარჩევნო
(საკრებულოს დასახელება) (საარჩევნო ოლქის დასახელება)

აირჩევა--------დეპუტატი.

☐ გვარი, სახელი, დაბადების წელი, პროფესია, სამუშაო ადგილი, თანამდებობა (საქმიანობა), პარტიულობა, პარტიის /საარჩევნო ბლოკის/ დასახელება, რომელმაც წარადგინა დეპუტატობის კანდიდატი (თუ იგი ამომრჩეველთა ჯგუფის მიერაა წარდგენილი, იწერება "დამოუკიდებელი"/

☐ ----------------

☐ ----------------

(შეიძლება ბიულეტენის მეორე გვერდის გამოყენებაც)

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

მ ა გ ა ლ ი თ ი

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოთა არჩევნების

ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

გორის რაიონის მეჯვრისხევის სოფლის საკრებულოს კვარხითის №2 საარჩევნო ოლქი.

აირჩევა 3 დეპუტატი

☐ პეტრიაშვილი გივი, 1940 წ. იურისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი, წარადგინა ბლოკმა "მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო"

☐ ცინცაძე შალვა., 1950 წ., ეკონომისტი, საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს განყოფილების გამგე, უპარტიო, დამოუკიდებელი

----------------

### გასწორება

## ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

**ცენტრალურმა** საარჩევნო კომისიამ 18 მარტს განიხილა საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოთა არჩევნების საარჩევნო ბიულეტენის ფორმა, გაითვალისწინა შემოსული წინადადებები და გადაწყვიტა, რომ ბიულეტენში მსხვილი შრიფტით გამოიყოს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის დასახელება, რომელმაც წარადგინა კანდიდატი, ხოლო თუ ის ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ არის წარდგენილი, მსხვილი შრიფტით იქნება გამოყოფილი სიტყვა „დამოუკიდებელი“.

## სხვადასხვა

### საქართველოს ოფიცერთა კორპუსის საბჭოს განცხადება

**1991 წლის** 21 იანვარს რესპუბლიკის მთავრობამ რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს ოფიცერთა კორპუსი.

საქართველოს ოფიცერთა კორპუსი მიზნად ისახავს გააერთიანოს საქართველოს მოქმედი, თადარიგისა და გადამდგარი ოფიცრები და გენერლები საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, რათა ხელი შეუწყონ რესპუბლიკის თავდაცვას, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას, ახალგაზრდა თაობის სპორტულ-მხედრულ აღზრდასა და ტექნიკურ მომზადებას.

საქართველოს ოფიცერთა კორპუსის სტრუქტურა შედგება რესპუბლიკის ოფიცერთა კორპუსის საბჭოსაგან და რაიონული (ქალაქის) ორგანიზაციებისაგან. ამჟამად მიმდინარეობს ოფიცერთა კორპუსის რაიონული ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ჩამოყალიბდა და ეროვნული სამსახურის რიგში ჩადგა დუშეთის, ქარელისა და გორის რაიონული ორგანიზაციები. საჭიროა რესპუბლიკაში რაიონული ორგანიზაციების ჩამოყალიბების დაჩქარება. ამისათვის მიზანშეწონილია რაიონებში შეიქმნას ოფიცრებისაგან საინიციატივო ჯგუფი, რომელიც მიიღებს კონსულტაციას რესპუბლიკის ოფიცერთა კორპუსის საბჭოში მისამართზე: თბილისი, შევჩენკოს ქ. №6, 2-ე სართული, ტ. 99-78-47.

რესპუბლიკის ოფიცერთა კორპუსის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია თადარიგის პოლკოვნიკი ჯემალ ქუთათელაძე, მოადგილეებად — თადარიგის პოდპოლკოვნიკი როზლანდ ლაკია, პოლკოვნიკი ჰამლეტ გეგენავა, თადარიგის მაიორი თემურ მიქაუტაძე.

**საქართველოს ოფიცერთა კორპუსის საბჭო მოგიწოდებთ საქართველოში მცხოვრებ ყველა ოფიცერს და მისი ოჯახის წევრებს 1991 წლის 31 მარტს აქტიური მონაწილეობა მიიღოთ რესპუბლიკის რეფერენდუმში და ხმა მისცეთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.**

საქინფორმი

### საბოლოო განხილვისათვის

**14 მარტს** გაიმართა საქართველოს უზენაესი საბჭოს ეკონომიური რეფორმის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს პროექტი საქართველოს რესპუბლიკის კანონისა საკუთრების შესახებ.

მოხსენებით გამოვიდა საკუთრების საკითხთა და პრივატიზაციის კომისიის თავმჯდომარე მ. მირიანაშვილი, რომელმაც ისაუბრა აღნიშნული კანონპროექტის როგორც კონცეფციის, ისე მისი საკვანძო დებულებების შესახებ, მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე იმ სიძნელეებზეც, რომელთა დაძლევაც მას მოუხდა აღნიშნულ კანონზე მუშაობისას. კანონის განხილვაში მონაწილეობდნენ უზენაესი საბჭოს ეკონომიური რეფორმის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე გ. თაქთაქიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე რ. გოცირიძე, მდივანი ა ახვლედიანი და კომისიის წევრები: ვ. შარიქაძე, ლ. ცოფურიშვილი, ა. კოღუაშვილი, ი. ბურკაძე. სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე კომისიის განყოფილების წევრები მ. ქორქოლიანი, ზ. ბირკაძე და ვ. დიდებაშვილი.

კომისიამ მოიწონა კანონპროექტი და დაადგინა გადაეცეს იგი უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედ კომისიებს საბოლოო განხილვისათვის.

### რუსეთის სფსრ გენერალურ პროკურორს ვალენტინ გიორგის ძე სტეპანკოვს, გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ მთავარ რედაქტორს ვ. ვ. ჩიკინს

**გაზეთ** „სოვეტსკაია როსიას“ 1991 წლის 12 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულია მ. მიხალკოვის სტატია „ბუმერანგი ბრუნდება“. კორესპონდენტი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქიდან გადასცემს ინფორმაციებს, ფაქტებს, ციფრებს, რომლებსაც, ძალიანაც რომ გვინდოდეს, დუმილით ვერ ავუვლით გვერდს. გაზეთის კორესპონდენტი მ. მიხალკოვი წერს „... ახლა საქართველოს ლიდერი ზ. გამსახურდია ცდილობს დაარწმუნოს მსოფლიო, თითქოს ქართული მილიციის რიგებში სისხლის სამართლის დამნაშავენი არ ყოფილიყვნენ, ხოლო სამხრეთ ოსეთის ბლოკადაში არავითარი მონაწილეობა არ მიეღოთ ნაციონალისტურ ფორმირებათა „ბოევიკებს“. სიცრუეა. 5 იანვარს ამნისტირებული სისხლის სამართლის დამნაშავენი, პირობითად მსჯავრდადებულნი და ვადამდე განთავისუფლებულნი გორის სტადიონზე შეჰყარეს და მილიციის ფორმა ჩააცვეს. ისინი საბჭოური თანამედროვე დამოკლებული ავტომატებით შეაიარაღეს, მათ ხელში აღმოჩნდა აგრეთვე არცთუ ცოტა ისრაული „უზის“ ავტომატები და ჩეხური „სკორპიონის“ პისტოლეტები. შეიარაღებული არაფორმალების პიკეტები დღემდე არიან საოლქო ცენტრის გარშემო და სოფლებში თამარაშენში, აჩაბეთში, ქურთაში, კეხვში, ერედვში, ავნევში...

28 იანვარს ღამით კი თბილისიდან 40 ოსი ეროვნების ადამიანი წაიყვანეს (წინასწარ თვალები აუხვიეს), როგორც ჩანს, გორის რაიონის სოფელ მეღვრეკისის მიმართულებით და იქ დახვრიტეს“.

საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირი სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ეს ყოვლად უსირცხვილო სიცრუეა, რისთვისაც პასუხი უნდა აგონ გაზეთმაც და მასალის ავტორმაც, და რედაქციისაგან დამამტკიცებელ საბუთს მოითხოვს.

საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირის სამდივნო

ამ რამდენიმე დღის წინათ, გაზეთ „თბილისში“ (22.02.91.) ასეთი რამ ამოვიკითხე: „თბილისის ერთ პრესტიჟულ სკოლაში უფროსკლასელმა ბიჭებმა განსაკუთრებული სისასტიკით დაარბიეს მეექვსეკლასელების ოთახი...“ „როცა უნდათ, რომ გაკვეთილები არ ჩატარდეს, ასე შვრებიან; მესამე სართულზეც დაამტვრიეს ყველაფერი...“ „...მასწავლებელს დედა შეაგინეს“.

...და ახლა, ერთხელ კიდევ ამოვქექე ჩემი არქივიდან ამ ხუთი წლის წინათ დაწერილი და ადრესატისადმი დროულად გაგზავნილი ეს უგვარსახელო წერილი, რომელიც ამ წლების მანძილზე არც ერთმა გაზეთმა არ დაბეჭდა, თუმცა „მეანონიმე“ თავის ვინაობას არ მალავდა...

კიტა ბუაჩიძე.

ბატონო შალვა!

გუშინ, 11 იანვარს, ტელევიზიით თქვენი საჩვენებელი გაკვეთილი ვნახე და მოვისმინე.

პირველად გიხილეთ ასე „ახლოს“, ცხოვრებაში კი თქვენთვის თვალი შორიდანაც არასოდეს მომიკრავს; სამწუხაროდ, არც თქვენი წიგნი „Здравствуйте, дети!“ ჩამვარდნია ჯერ ხელთ.

ასე რომ, მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიებით გიცნობთ და ვიცი ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის პედაგოგიურ წრეებში უკვე ფართო პოპულარობა გაქვთ მოპოვებული.

შეიძლება ამიტომაც დამრჩა საწყენად ის ამბავი, რაც მოსკოვის ერთ-ერთ გაზეთში, თითქოს სასხვათაშორისოდ, დაბეჭდილ სტრიქონებში ამოვიკითხე: თქვენ ცენტრალური ტელევიზიით გამოსულხართ და ტელეაუდიტორიაზე მაინცდამაინც ისეთი შთაბეჭდილება ვერ მოგიხდენიათ, როგორსაც მოელოდნენ. ამაში უფრო თვით ტელევიზიას ამტყუნებდნენ, Не так было подано-ს მსგავსად...

ჰო, მაგრამ, როგორ ვიფიქროთ მოსკოველებს ამას უფრო თავაზიანობა ხომ არ აწერინებთ და ბრალი, ცოტაოდენი მაინც, თქვენც ხომ არ მიგიძღვით?!

მე არ ვიცი, რუსულად თქვენ, ასე ვთქვათ, რა დონეზე მეტყველებთ, მშობლიური ქართული კი, თუ ვიმსჯელებთ თქვენი მარტო გუშინდელი გამოსვლის მიხედვით, მე მგონია, ერთგვარ გაუმჯობესებას მოითხოვს: არ ვი-

გამიგონია, ბავშვი ყველგან ბავშვიაო, მაგრამ ყური როგორღაც იმისთვისაც მომიკრავს, იაპონიაში ბავშვები თითქოს არ ტიროდნენ, ჩვილებიც კი...

ჰოდა თუკი ეს, ცოტათი მაინც, მართლაც ასეა, მაშინ ჩვენი პლანეტის ყველა კუთხე-კარის ბავშვებიც არ ყოფილან ერთმანეთის ზუსტი ასლები.

გუშინ, როცა თქვენი საცდელ-საჩვენებელი გაკვეთილის დროს ქართველ ცეროდნებს ვუყურებდი, მათი ცოდვით ლოყებზე გაგანია ცეცხლი მომეკიდა: ჩაღამებული თვალებით, შეჭმუხნილი შუბლებით, სერიოზული პოზებით, ისინი მობერებულ ლილიპუტებს უფრო წააგავდნენ, ვიდრე ექვსი წლის დაუდგრომელ, ცმუტავ, მოუსვენარ ანცებს...

არა, მე ნამდვილად ქართველი კაცი ვარ, დედითაც, მამითაც და წინაპრებითაც და ცარიზმისათვის კი ნიხრის დადებაში, ცოცხალი რომ იყოს, მუხლის თავებს დავუკოცნიდი ილიას:

„რაც კარგი ექნას რუსისა
შტიკსა, —
ღმერთმა ის რუსსვე ას-კეცად
მისცეს“.

...და მაინც, ნიკოლოზს, ესე იგი, ცარიზმს, განათლების დარგში აბსოლუტურად ყველაფერი როდი ჰქონდა ცუდი და დასაწუნი, სანაგვეზე გადასაყრელი...

ჰოდა, თუ „არ გამლახავთ, შალვა მასწავლებელო“, შემოგბედავთ და იმაშიც გამოგიტყდებით, რომ მე... მმ... სკოლაში გაროზგვისა არა, მაგრამ უღირსი, უგვანო, უხამსი, ყოვლად უზნეო, თანაც არაერთხელ ჩადენილი ასეთი საქციელისათვის სკოლიდან გარიცხვისა და, ასე განსაჯეთ, მგლის ბილეთის მიცემის მომხრეც კი ვარ...

ო, არა, მე იმას როდი ვიწონებ, როცა სამი ალექსანდრე და ორი ნიკოლოზი რევოლუციონურად მოაზროვნე ახალგაზრდებს გიმნაზია-უნივერსიტეტებიდან მგლის ბილეთით რომ ერეკებოდნენ...

სხვათა შორის, თითქოს არც ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მრისხანება ჩვენს სასწავლებლებში წამლად ერთი-ორი ისეთი დაუდეგარი თუ გამოერევა, რომელთაც ჩვენნაირი დადუღებული-დაშტამპული თავები ჯერ კიდევ არ გამობმიათ და...

მინდა გკითხოთ როგორც საბჭოთა პედაგოგიკის თეორეტიკოსს და პრაქტიკოსს: მოსწავლეები, რომლებიც თავისივე სკოლას

ვინ იცის, შეიძლება სწორედ ესაა მიზეზი იმისა რომ მაკარენკოს გარდაცვალებიდან, აი, უკვე ლამის 50 წელიწადი გავიდეს და ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე სხვა, ახალი მაკარენკო, ჯერ არ გამოჩენილა და არც პირი უჩანს, რომ გამოჩნდება.

სტატისტიკამ ამას წინათ მორცხვად და მორიდებით შემოგვაპარა, დამნაშავეთა დიდი ნაწილი საშუალო და უმაღლესი განათლების პირებზე მოდისო...

ამან, ვისაც განსჯის უნარი ჯერ კიდევ შემორჩა, გონებაგამჭრიახი ადამიანი საგონებელში უნდა ჩააგდოს და სიმწრით ათქმევინოს:

— ესეც თქვენ, განათლების ნაყოფი!

მაგრამ ნუ ავჩქარდებით და ვადაზე ადრე ნუ ვიტყვით ამ საკრამენტულ ფრაზას: ესენი ხომ მომეტებულად მოსაჩვენარი, მხოლოდ ქაღალდზე არსებული, ცრუ-განათლების მქონე პირები არიან, რომლებიც ჩვენმა უბადრუკმა საგანმანათლებლო სისტემამ დამოძღვრა და თავისებურად გაანათლა: ათი-თერთმეტი წლის მანძილზე იმდენი ეჯაჯგურა მათ თავის ქალებს, კითხვა იმ უმაღლეს დონემდე შეასწავლა, გაზეთ „ლელოს“ საკითხავად რომ ეყოფათ და წერითაც მათი ტოლ-ამხანაგის ბატიფეხურს რომ წაიკითხავენ და თვითონაც რომ წაუბატიფეხურებენ...

ეს კია, თვლა-ანგარიშის შესასწავლად დრო და ჩიჩინი ბევრი არ დასჭირვებიათ და ახლა ფულს, მხოლოდ ფულს, თუ გნებავთ, ასი ათასობითაც „უჩოთქოდაც“ ჩაიყრ-გადმოიყრიან ჯიბეში და ჯიბიდან...

ჰო, მაგრამ, განა ასეთი განათლება არ შეეძლოთ მათ შინაც მიეღოთ, თანაც საამისოდ სულაც

არ გამიწყრები, ცოტა ჩქარა ისაუზმე, მე ქუჩაში დაგელოდებიო (ეს იმ შემთხვევაში, თუ ამ უბედურს გზადაგზა სხვებიც არა ჰყავს გასაღვიძებელი)...

დიახ, მოისპო მანძილი მოწაფესა და მასწავლებელს შორის, წაიშალა ზღვარი ღმერთსა და მლოცველს შორის, ისინი ჩვენს ქვეყანაში უკვე კაი ხანია ერთ სიმაღლეზე (თუ სიდაბლეზე?) დგანან...

რაც დავთესეთ, იმას ვიმკით!

ასეთი გზით მოპოვებული სწავლა-განათლება, უფრო სწორად — სწავლა-განათლების პროფანაცია, შეგნებულად თავის მოტყუება, აფრიკის ახლად გამოღვიძებული, ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის ჩვენი თავის მოსაწონებლად რომ არის თითქოს გამიზნული, განა რაიმე დადებით შედეგს გამოიღებდა?

ო, თუ ამას დადებით შედეგად მიიჩნევთ, სტატისტიკა რომ გვაუწყებს, დამნაშავეთა მეტი წილი საშუალო და უმაღლეს დამთავრებულებზე მოდისო, — მაშინ კი, ბატონო!

ესეც გვახსოვდეს, ბევრ ამ დამნაშავეს თვით სკოლაშივე, ვიდრე მას დაამთავრებდნენ, ერწევათ აკვანი...

არასრული სტატისტიკა იმასაც გვატყობინებს, რომ არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა საყოველთაო-სავალდებულო სწავლაში ჩაბმული, ჩემებრ-ძველებურად — მოწაფე, თქვენებურ-ახლებურად—მოსწავლე, თავის მოძღვარ-მასწავლებელზე საცემად რომ წაწეულა და შემოურტყამს კიდეც და სწავლა ანუ, უფრო ზუსტად, სიარული მაინც გაუგრძელებია, თუ იმ სკოლაში არა, სხვა მახლობელ სკოლაში მაინც!

აბა საშუალო განათლების უატესტატოდ ხომ არ დატოვებენ და

სხვათა შორის, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი რომ არა, საშუალო „განათლებულ“ უცოდინართა არმიები, როგორც მუდმივი აბიტურიენტები, წლიდან წლამდე არ აეყუდებოდნენ (მშობლებთან ერთად!) უმაღლესი სასწავლებლების კარებთან და იძულებულნი გახდებოდნენ შრომითი საქმიანობისათვის, შედარებით მაინც, დროულად მოეკიდათ ხელი...

დიახ, ეს დღეს ჩვენი საზოგადოების ძალზე მნიშვნელოვანი სატკივარია, და იგი, რაც დრო გავა, შეიძლება, კიდევ უფრო და უფრო უარესს სენში გადაიზარდოს...

ჰოდა, თუკი მე, ისეთი „პედაგოგი“, რომელმაც თავის ცხოვრების გზაზე, სტუდენტობისას, მხოლოდ ერთხელ ჩაატარა საჩვენებელი გაკვეთილი და მაშინაც კი ცხვირი მოიტეხა იმის გამო, რომ ორმოცდახუთწუთიანი გაკვეთილისთვის მომზადებული მასალა ნახევარ საათში ამოეწურა და დანარჩენი თხუთმეტწუთიანი სიცარიელე აღარ იცოდა რით ამოევსო, —

ვხვდები, თუ რა განუზომელი ზიანის მომტანია მოზარდი თაობის დიდი ნაწილის გამათავხედებელი — გამაფუჭებელი და ძალზე ბევრისათვის კი ცხოვრების გზის ამბნევი პოტიომკინის სოფლის მსგავსი ეს საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლება.

როგორ.

დავიჯეროთ, რომ ამას ვერ ხვდებით თქვენ, — უკვე საქვეყნოდ ცნობილი პედაგოგი, რომლის წიგნი „გამარჯობათ, ბავშვებო!“ მოსკოვში, მგონი, ნახევარმილიონიანი ტირაჟით გამოიცა და რომლის ავტორიც შარშან ქებით მოიხსენია პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა კონდაკოვმა და უმაღლესი განათლების მინისტრმა პროკოფიევმა (ახლა, თუ არ ვცდები, უკვე ყოფილმა)?..

და თუ ხვდებით და გრძნობთ ამ სახალხო-საზოგადოებრივი სატკივრის მთელ სიმწვავეს, მაშინ მოიმარჯვეთ კალამ-სკალპელი და, როგორც უკვე დიდად ავტორიტეტულმა მოძღვარ-მასწავლებელმა...

იყივლეთ მაინც!

და თუ არ გათენდება...

ო-ო, რომ არ გათენდება, ამაში არც ამ უსახელო ბარათის მომწერს ეპარება ეჭვი: ძალიან მაცხონეობის ოჩოფეხებზე აგებული დღევანდელი ჩვენი სწავლა-განათლების სისტემა რომ შეიცვალოს, საამისოდ „ორჯერ ორი-ხუთის“ მოანგარიშე-დამდგენელთ კიდევ სულ ცოტა, 30-40 წლის ფიქრ-ჭოჭმანი მაინც დასჭირდებათ.

სამაგიეროდ... თქვენი დროული, გამაფრთხილებელი ყივილი სასიკეთოდ ხომ მაინც დარჩება!

## სკოლა

# „ანონიმური“ ღია ბარათი

## პროფესორ შალვა ამონაშვილს

ამ ანცობაში კი, რამდენადაც მედიცინიდან ვიცი, მათ ძვლები უმაგრდებათ, ეს კი რახიტის პირველ მტრად ითვლება.

მე, რა თქმა უნდა, მესმის ისიც, რომ ტელეკამერა და, შესაძლოა, უფროსების დარიგებანიც — „ჭკვიანად იყავით, ბავშვებო, ...

ცეცხლს წაუკიდებენ, მერე, ქალაქგარეთ, მათთვის სრულიად უცნობ და სრულიად უდანაშაულო მოხუც დარაჯს დანებისა და იარაღის მუქარით საფლავს გაათხრევინებენ და წარბის შეუხრელად მოკლავენ, ამ ორმოში ჩააგდებენ და მიწას გადააყრიან, — ...

არ დაეხარჯათ ათი-თერთმეტი წელიწადი, და მას, დასტურ, ჩვენი წინაპრები, როცა „ნუცას სკოლაც“ კი ყველასათვის არც ხელმისაწვდომი იყო და არც ფეხმისაწვდომი (სასწავლებლის სიშორის გამო) ღებულობდნენ კიდეც, რა თქმა უნდა, ვინც კი ამ ...

ჩრდილს ხომ არ მიაყენებენ ჩვენი საზოგადოების -უ-უ-დიდეს მონაპოვარს — საყოველთაო საშუალო-სავალდებულო სწავლებას (ჩემი მორიდებული, შეშინებული აზრით კი — შრომაზე დაფუძნებული სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ძირგამომთხრელ მოვლენას). ...

## პრესკონფერენცია

# პირველი ნაბიჯები გადაიდგა



ამერიკის შეერთებული შტატებიდან საქართველოში დაბრუნდა ჩვენი რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი აკაკი ასათიანი მეთაურობდა.

ვიზიტის მიზანი იყო დელეგაციას მოესინჯა და დაემყარებინა კონტაქტები ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ და საქმიან წრეებთან.

თუ როგორ მოხერხდა ეს — ამის შესახებ ვრცლად ისაუბრეს დელეგაციის წევრებმა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ბატონმა აკაკი ასათიანმა, დამაკმაყოფილებლად ჩათვალა ვიზიტის შედეგები. აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი რანგის პირები მზად არიან ურთიერთთანამშრომლობისთვის როგორც პოლიტიკის, ისე ეკონომიკის სფეროში.

დელეგაციას ჰქონდა შეხვედრები ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან: რონალდ რეიგანთან და ზბიგნევ ბჟეზინსკისთან, რომლებმაც სიმპათიური დამოკიდებულება გამოამჟღავნეს საქართველოსადმი. ამ მოღვაწეებს კვლავ საგრძნობი გავლენა აქვთ სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების სფეროში. იყო საუბარი იმაზე, რომ ალბათ, აშშ-ს მთავრობა უახლოეს ხანში, განავითარებს რესპუბლიკებთან ცენტრისგან პარალელურ კავშირებს. ამგვარ კავშირებს კი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება; გაირღვევა ეკონომიკური და საინფორმაციო ბლოკადა, რასაც ჩვენდამი ცენტრი ახორციელებს.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის და საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ მალე საქართველოში ჩამოვა მათი დელეგაცია. როგორც ბატონმა აკაკი ასათიანმა, ასევე დელეგაციის წევრებმა, უზენაესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა თედო პაატაშვილმა, მისმა მოადგილემ ბატონმა მერაბ ურიდიამ და უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ბატონმა თამაზ გამყრელიძემ აღნიშნეს, ის სასიამოვნო ფაქტი, რომ ამერიკელები მზად არიან თანამშრომლობისათვის, რომ პირველი ნაბიჯები გადაიდგა და მომავალი უკეთესს გვპირდება — ამერიკელთა სიტყვა და საქმე ერთია.

აღსანიშნავია, რომ ისინი მზად არიან ოფიციალურად მიიწვიონ ჩვენი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

დელეგაციის წევრებმა ისაუბრეს აგრეთვე ვიზიტის დროს წამოჭრილი სხვადასხვა საკითხებისა და პრობლემების გარშემო, უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

**სურათებზე:** ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს.

**საქინფორმის** ფოტოქრონიკა



## სიტყვა — ყველას

# საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ...

თან, სხვა სახელმწიფოებთან.

ასეთ ვითარებაში, კომპარტიის აზრით, ...

## საზღვარგარეთ

# დგანან იქ, სადაც ქარიშხალია

**მას შემდეგ,** რაც საქართველომ მტკიცედ და არაორაზროვნად განაცხადა, რომ ხელს არ მოაწერს ე. წ. ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ცენტრის მხრიდან მრავალი გეგმაზომიერი პროვოკაციის მოწმენი გავხდით. მათ შორის, თავისი მუხანათობით ყველაზე ამაზრზენია ეთნოკონფლიქტების პროვოცირება, ამაც განსაკუთრებით საშიში სახე მიიღო ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. უეჭველია, რომ ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი, ნათლად ხედავს ამ ძმათამკვლელი ომის სათავეს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც ნელნელა ირკვევა, არცთუ ბევრნი ყოფილან ასეთი გონება-გახსნილები. მე, რაღა თქმა უნდა ჩვენი ქვეყნის გარეთ მცხოვრებთ ვგულისხმობ; ჩვენდამი აგრესიული განწყობა, ერთი შეხედვით, შეიძლება უცნაურადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ინფორმაცია, უფრო სწორედ ის სიცრუე, რომლითაც დღედაღამ წამლავენ საზოგადოებას ცენტრალური პრესისა თუ ტელევიზიის წარმომადგენლები. ყველაზე სავალალო კი ის არის, რომ მათ არ ჩამორჩება ე. წ. დემოკრატიული პრესა, რომელსაც დიდად ენდობიან რუსეთში. ამის ნათელსაყოფად თუნდაც, „მოსკოვსკიე ნოვოსტი" გამოდგება, რომელსაც 9 აპრილის შემდეგ ლამის დითირამბები ვუძღვენით.

ახლა ამ გაზეთს რუსეთშიც და სხვა ქვეყნებშიც დიდი ხალისით გააქვს ქართველებზე შეთითხნილი ბრალდება, რითაც უეჭველია ძირს უთხრის ჩვენს სახელსა და ავტორიტეტს...

2 მარტს მოსკოვში ჩავიდა გორის რაიონში მცხოვრები ოსი ეროვნების ინტელიგენციის ოცდაორკაციანი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლიანა გაგლოშვილი-კავსაძე. აი, რა გვითხრა მან:

— ჩვენი აქ ჩამოსვლის მიზანი, საპროტესტო აქციის მოწყობა იყო ცენტრალურ ტელევიზიასთან. გარდა ამისა, გვინდოდა რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრაც, რომლის დროსაც ავუხსნიდით მათ, რომ საქართველოში დატრიალებული სისხლისღვრა, სულაც არ არის ეთნოკონფლიქტი, რის დამტკიცებასაც ასე მონდომებით ცდილობს პრეზიდენტი და რასაც, დღედაღამ გაჰკივიან მისი რუპორები: ცენტრალური ტელევიზია და პრესა. ყველას, შეძლებისდაგვარად გავაგებინეთ, რომ ეს არის კრემლის სადამსჯელო აქცია საქართველოს მიმართ. ბუნებრივია, რომ, თვით ოსებისგან მოსმენილი სიმართლე უფრო დამაჯერებელი იქნება.

გარდა ამისა, საქართველოს წარმომადგენლობაში (კინაღამ შემომცდა, საელჩოში-მეთქი) უვადო შიმშილობას განაგრძობენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ვალტერ შურღაია, ჟურნალისტი გია თასოევი და ექიმი ეთერ შუკლანი.

ქართველი მწერლები მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე, რევაზ მიშველაძე, იგორ ბოგომოლოვი, გურამ გვერდწითელი, გიორგი გაჩეჩილაძე, მზია ხეთაგური სწორედ ამ დროს ჩავიდნენ მოსკოვში.

ვიდრე მოსკოვურ შეხვედრებზე გეტყოდეთ რამეს, მინდა დავსძინო, რომ იმპერიის ცენტრში ვიზიტით ჩვენი მწერლები საქართველოს იმედსაც აღვივებდნენ. არა მხოლოდ იმით, რომ სიმართლე გაიტანეს, არა, მთავარი ის არის, რომ თვით საქართველოში ბევრმა ურწმუნო თომამ დაინახა ის ეროვნული პოზიცია, რომლის არქონასაც ხშირად დაუმსახურებლად მიაწერდნენ მწერლებს და საერთოდ ინტელიგენციას. არ ვიცი, როგორ იშვა ასეთი აზრი და შეხედულება პირველად, მაგრამ ერთი კია, ნუთუ დაგვავიწყდა, რომ იმ ავადმოსაგონარ ათწლეულებში ქართველის სულში იმედის ნაღვერდალს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პოეზია და პროზა რომ აღვივებდა. ნუთუ დავივიწყეთ, რომ ერთადერთი წყარო, რომლითაც ქართველს ქართველობა აგონდებოდა, ლიტერატურა იყო.

ჩასვლის დღესვე, რვა მარტს, მწერლები მოშიმშილეებს შეხვდნენ.

— მწერალს ერის სულის სადავეები უჭირავსო, — თქვა ამ შეხვედრაზე ვალტერ შურღაიამ, — და სწორედ ამიტომ თქვენ უნდა აუხილოთ თვალი რუს ინტელიგენციასო. შემდგომში ასეც მოხდა. მანამდე კი კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მოულოდნელად გამოიკვეთა ამ შეხვედრისას.

პოეტმა იური რიაშინცევმა დასვა ასეთი საკითხი: თქვენ არ აიგივებთ რუს ხალხსა და ხელისუფლებას, რადგან კარგად იცით, რომ ისინი რადიკალურად განსხვავდებიანო, მეც ასე მგონია, რომ ქართველი ხალხი, ისევე როგორც რუსი, არ იზიარებს თავისი ხელისუფლების პოზიციებს, ამიტომ ზოგჯერ ვფიქრობთ, რომ ოსეთის საკითხი საქართველოს ახლანდელი ხელმძღვანელობიდან მომდინარეობსო. ამ სიტყვების გულწრფელობაში ეჭვი ოდნავადაც არ შემპარვია, რადგან კარგად ვიცი მისი მთქმელის უანგარო სიყვარულის ამბავი ჩვენი ქვეყნისადმი. ერთი კია, როდესაც საშუალება მოგვეცემა, ყველა სატკივართან ერთად, სხვებს ისიც უნდა გავაგებინოთ, რომ ამჟამად საქართველოს სათავეში უდგას ჭეშმარიტად დემოკრატიული პრინციპებით არჩეული ხელისუფლება, რომ მის გადაწყვეტილებებს მხარს უჭერს ჩვენი ხალხის უდიდესი უმრავლესობა.

თერთმეტ მარტს საქართველოს კულტურულ ცენტრ „მზიურში" მოეწყო შეხვედრა მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, რომელშიც საქართველოდან ჩასული მწერლების გარდა მონაწილეობდნენ გორის რაიონიდან ჩასული ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც.

იგორ ბოგომოლოვმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მიმართვის ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდნენ მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე, რევაზ მიშველაძე, გურამ გვერდწითელი, გიორგი გაჩეჩილაძე, იგორ ბოგომოლოვი, მზია ხეთაგური.

„...ინციდენტის მიზეზი თქვენ კარგად მოგეხსენებათ, „გათიშე და იბატონეს" ნაცნობი, იმპერიული ხელწერაა. რაკი საქართველო დამოუკიდებლობის გზას დაადგა და უარი თქვა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, კრემლმა ჩვენი დასჯა გადაწყვიტა; დაავალა საბჭოთა არმიას, დაქირავებულ ოს ექსტრემისტთა ზურგს ამოფარებულს, ომი გაეჩაღებინა ქართველების წინააღმდეგ"...

შეხვედრაზე ჩვენმა მწერლებმა წარმოაჩინეს ჩვენში შექმნილი ვითარება:

**გურამ გვერდწითელი** — ...დიახ, იხოცება ხალხი, იღვრება სისხლი, და ეს მაშინ, როდესაც გვინდა ცივილიზაციას ვეზიაროთ. უბედურება კი დატრიალდა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოში გაიმარჯვა ეროვნულმა ძალამ, რომელიც ნელა, მაგრამ დაბეჯითებით მიიწევს დამოუკიდებლობისაკენ. ტერორითა და ომის პროვოცირებით ცენტრს უნდა, კვლავ დააჩოქოს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს, საქართველო უკან აღარ დაიხევს, საქართველო კოლონიალიზმის უღელში აღარ გაჰყოფს თავს.

**გიორგი გაჩეჩილაძე** — სამოცდაათი წლის მანძილზე გვკვებავდნენ ყბადაღებული ხალხთა მეგობრობის იდეით, ახლა დროა ვიფიქროთ, რომ არ არსებობს ასეთი მეგობრობა. ის შეიძლება არსებობდეს მხოლოდ პიროვნებებს შორის. რაც შეეხება ხალხებს — მათ შორის მხოლოდ თანხმობაზე უნდა იყოს ლაპარაკი და არა მეგობრობაზე. ჩვენს სინამდვილეში თანხმობაც აბსურდია, რადგან „უფროსი ძმის" პოზიციიდან მოსაუბრესთან თანხმობა, როგორც ასეთი, ყოვლად წარმოუდგენელია.

**იგორ ბოგომოლოვი** — ...საქართველო ცენტრის მიერ პროვოცირებულ ომებშია გახვეული. მინდა ყველამ იცოდეს, რომ იქ არასდროს ყოფილა ერებს შორის დაპირისპირება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა ე. წ. ინტერფრონტმა, როდესაც პირველად დაიწყო ლაპარაკი ასეთი ორგანიზაციის შექმნაზე, მას პირველ რიგში არაქართველები აღუდექით წინ. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ კარგად ვიცით ქართველი კაცის კაცთმოყვარე ბუნება, ისიც ვიცით, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ყველანი ბედნიერნი და თანასწორნი ვიქნებით.

**მურმან ლებანიძე** — ...შეგვიძლია თუ არა თქვენი გადარწმუნება? ვფიქრობ, რომ არა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოვდივართ თქვენს წინაშე, რათა გაყალბებული ინფორმაციით მიღებული შთაბეჭდილებები ნაწილობრივ მაინც გაგიფანტოთ. დარწმუნებული ვარ, რომ რუსი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი გაიგებს ჩვენს გულისტკივილს.

შეხვედრაზე თავისი აზრი გამოთქვეს რუსმა მწერლებმა და ჟურნალისტებმა. როგორც გამოირკვა, მათ შესანიშნავად იცოდნენ, რომ არ შეიძლება ცენტრალური ტელევიზიისა და პრესის ნდობა, მაგრამ, როგორც აღნიშნეს ინფორმაციული ვაკუუმისგან თავის დაღწევა მხოლოდ ასეთი შეხვედრებით თუ მიიღწევა.

დასასრულს ზოგიერთ მათგანს ვთხოვეთ თავისი აზრის გამოთქმა:

**ვლადიმერ ხოლოუხინი** — პირველად ოცდახუთი წლის წინათ ჩავედი საქართველოში და მაშინვე დანაშაულის გრძნობა დამეუფლა, როგორ კადრულობენ უბრძანონ ასეთ ხალხს მეთქი. ამ ბოლო დროს კი, განცვიფრებული ვიყავი, რა დაემართა ქართველ ხალხს, რატომ აკეთებს იმას, რაც მის სულში არა ზის-მეთქი. მაგრამ, როგორც ჩანს, არც ისეა საქმე, როგორც ჩაგვაგონებენ. ცხადია, რომ იმპერიას უნდოდა ერების მოსპობა. ვიმეორებ იმპერიას და არა რუს ხალხს. ამიტომ საჭიროა ერთად ვიბრძოლოთ ამ დანაშაულებრივი სისტემის წინააღმდეგ.

**ლარისა ფომენკო** — ვიცი რაც ხდება საქართველოში, შეძლებისდაგვარად ვუხსნი ყველას, მაგრამ ხელისუფლება თავისას აკეთებს. საქართველოს აქვს უფლება იყოს დამოუკიდებელი. ვისაც უყვარს, ის ყოველთვის მონახავს და მასთან იქნება. რაც შეეხება ოფიციალურ პრესას, ისინი ჩვენი მასალების დაბეჭდვაზე უარს ამბობენ, ამიტომ ერთადერთ საშუალებადღა რჩება ასეთი შეხვედრები. რაღა თქმა უნდა, ამით ყველასთან ვერ მივიტანთ ჩვენს სათქმელს. მაგრამ მთავარია, ჩვენი ინტელიგენციის პროგრესულმა ნაწილმა მაინც იცოდეს სიმართლე. ჩვენ, მწერლებმა უნდა მივიტანოთ სიმართლე ხალხამდე.

როგორც ზემოთ მოხმობილი საუბრებიდან ჩანს, ამ შეხვედრებზე ნამდვილად მოხდა ერთგვარი შემობრუნება.

„მზიურში" შეხვედრის შემდეგ, 12 მარტს ქართველ მწერლებს საუბრები ჰქონდათ მწერალთა ცენტრალურ სახლში, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდნენ გორის რაიონიდან ჩასული ოსების წარმომადგენლები. აქ კიდევ ერთხელ, აშკარად გამოიკვეთა, რომ არავითარი ომი ქართველებსა და ოსებს შორის არ არის. რომ ეს კონფლიქტი მოსკოვიდან — კრემლიდან მომდინარეობს, რომ ამ ომით ოფიციოზს სურს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეფერხება და ამოძირკვა.

**მზია ხეთაგური** — იყო დრო, როდესაც ბევრი რუსი მწერალი ერთმანეთს ეცილებოდა საქართველოს სიყვარულში. მაგრამ ახლა, როდესაც მძიმე დღეები გვიდგას, მათი ხმა რატომღაც მიწყდა. ამიტომ უნებურად დამებადა ეჭვი, იქნებ მათაც ზოგიერთ თანამემამულესავით საქართველო მხოლოდ უქართველებოდ უყვართ მეთქი. ბევრისგან ისიც გამიგონია, საქართველოს დამოუკიდებლობა იმიტომ არ გვინდა, რომ, ვეღარ შევძლებთ მანდ ჩამოსვლასო. მე შეძლებისდაგვარად ყველას ვუხსნი, რომ თავისუფალი საქართველოს კარი ყველა კეთილისმყოფელისთვის ღია იქნება, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა უკეთესად შეძლებს სტუმრის მიღებას. ეს აზრი ამ შეხვედრებზეც გავიმეორე. საბედნიეროდ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ არ შეიძლება ყველა რუსის გაიგივება ოფიციოზთან. ჩვენდამი გაურკვეველი დამოკიდებულება დემოკრატი ინტელიგენციის მხრიდან, ძირითადად გამოწვეულია ინფორმაციის უქონლობით, რისი დაძლევაც ჩვენი მოსკოვში ჩასვლით ერთგვარად შევძელით კიდეც.

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალიაო" — საქართველოს პოეტებს მიმართავდა დიდი გალაკტიონი, დღეს საქართველოს მრავალი მხრიდან უხდება ქარიშხლის მოგერიება, და რაოდენ საიმედოა, რომ მას ერთ-ერთი პირველთაგანნი ქართული ლიტერატურის შესანიშნავი წარმომადგენლები ეღობებიან.

**ბელა ნატროშვილი.**

## საბჭოთა ეკონომიკის დეპრესია

**ამერიკელ** ეკონომიკის ექსპერტთა აზრით, საბჭოეთის ეკონომიკური დაქვეითება აღემატება შეერთებული შტატების ე. წ. „დიდ ეკონომიკურ დეპრესიას", როცა ერთიანი ეკონომიკური პროდუქციის წარმოების დაქვეითება 10 პროცენტს შეადგენდა. როგორც ისინი ამბობენ, საბჭოეთის ანალოგიური დაქვეითება 12-20, ზოგი მონაცემები კი 25 პროცენტს შეადგენს, რაც კატასტროფის მომასწავებელია.

თუ საბჭოთა ეკონომიკური დეპრესია კვების მრეწველობასაც შეეხო, მაშინ გაისად შიმშილია მოსალოდნელი, აღნიშნავენ ამერიკელი სპეციალისტები.

# რეფერენდუმის ზიგზაგები

**საერთაშორისო** მიმომხილველები, რომლებიც 17 მარტს იმ საარჩევნო უბანთან შეიკრიბნენ, სადაც საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა პრეზიდენტმა, გამოჰყოფენ გორბაჩოვის საუბრის იმ ადგილს, რომელიც გუშინდელი საკავშირო პრესიდან ამოიღეს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ, თუ რომელიმე ჩვენს შორის არსებული გიჟი მოისურვებს საზოგადოების გაპობას, დიდი უბედურება დატრიალდებაო, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. მიმომხილველთა აზრით, მიხეილ გორბაჩოვი გულისხმობდა რუსეთის ფედერაციის ლიდერს ბორის ელცინს, რომელსაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტის შემოღება სურს.

საუბრის დროს გორბაჩოვმა აგრეთვე აღნიშნა, რომ რეფერენდუმის შემდეგ უმცირესობა უნდა დაემორჩილოს უმრავლესობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიტველები უნდა დაემორჩილონ ბელორუსებისა და უკრაინელების გადაწყვეტილებას.

გამოდის, რომ რესპუბლიკებს, რომლებსაც სსრკ კონსტიტუციით კავშირიდან გასვლის უფლება ჰქონდათ, გორბაჩოვის ასეთი ფორმულირების გამოცხადების შემდეგ ეს ეკრძალებათო. როგორც ჩანს, სწორედ აღნიშნავდა ოტო ბისმარკი — „პოლიტიკა და ზნეობა შორი-შორს დგანანო".

რაც შეეხება საკავშირო რეფერენდუმს მოსკოვში, „კავშირი—ჰო" ხმის უფლების მქონე მოქალაქეების უმნიშვნელო რაოდენობით გავიდა. ამავე დროს აქ ხმა მისცეს ქალაქის მერის თანამდებობის დაწესებას. ლენინგრადში რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 65 პროცენტმა და საბჭოთა კავშირს მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა 53 პროცენტმა.

კიევში ვითარება ჯერაც გაურკვეველია.

ლიტვასა და ლატვიაში კენჭი უყარეს 500-500 ათასმა კაცმა.

მოლდოვეთის რუსულენოვანი მოსახლეობის, გაგაუზებისა და ბულგარელების 96 პროცენტამდე „კავშირის" მომხრეა. სულ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 650 ათასმა კაცმა.

ესტონეთში რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 250 ათასმა კაცმა, აქედან ცენტრის პოზიცია გამოხატა 95 პროცენტმა.

აზერბაიჯანში რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 4,9 პროცენტმა.

საქდესი აღნიშნავს, რომ, არაოფიციალური მონაცემებით, აფხაზეთში რეფერენდუმში მონაწილე მოქალაქეების 60 პროცენტმა ისურვა საბჭოთა კავშირში ცხოვრება.

შედეგი აბსურდს ჰგავს, რადგან იგივე საქდესი, ეყრდნობა რა საქინფორმის მონაცემებს, აფხაზეთის რეფერენდუმში მონაწილეობის ნება არ დართეს გალის რაიონს და ოჩამჩირის რაიონის ქართულ სოფლებს. ეს კი აფხაზეთის ამომრჩეველთა 20 პროცენტია.

აფხაზეთში რეფერენდუმის ფალსიფიკაციისთვის საქმე პროკურატურაშია აღძრული.

ასევე დიდი დარღვევები მოხდა ვილნიუსში, ლენინგრადში და ვიტებსკში. რიგაში ერთმა ჟურნალისტმა ექსპერიმენტის სახით ხუთ საარჩევნო უბანში იყარა კენჭი, ხოლო დუშანბეში იმდენი მოახერხეს, რომ „ბრეჟნევის ეპოქას" მაქსიმალურად მიუახლოვდნენ. „კავშირის" მომხრედ 96,7 პროცენტი „გამოიყვანეს". ხოლო როგორც საქდესი იუწყება, „ბრეჟნევის ეპოქის" რეკორდს გადააჭარბეს ე. წ. სამხრეთ ოსეთში, სადაც, საქდესის სააგენტოს ცნობით, 44 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა რეფერენდუმში, რაც ხმის უფლების მქონე ამომრჩევლების 96 პროცენტია, „კავშირს" კი ხმა მისცა არც მეტი და არც ნაკლები 99,8 პროცენტმა. აი, ამას ჰქვია ერთსულოვნება.

რეფერენდუმის შემდეგ დღეს დილით გახალისებულმა „რეფერენდუმის მონაწილე" ოსმა ექსტრემისტებმა სოფელ თამარაშენის მახლობლად ცოცხლად დაწვეს ოთხი ქართველი ახალგაზრდა. საქდესმა თემურ-ლენგის ეპოქისათვის დამახასიათებელი ეს ფაქტი ასე აღნიშნა: ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, საქდესის კორესპონდენტი შანაევი გვატყობინებს, რომ ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენის ახლოს მოწინააღმდეგე მხარეებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად მოკლულია ოთხი კაციო".

საერთოდ ვარაუდობენ, რომ იმ რესპუბლიკებში, სადაც რეფერენდუმი მოეწყო, მოსახლეობის 60 პროცენტი „კავშირის" მომხრე იქნება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ექვსმა რესპუბლიკამ ამ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიიღო, სახეზეა საბჭოთა კავშირში საზოგადოების პოლარული დაპირისპირება.

# რამდენიმე სტრიქონით

**ჩილეს** დედაქალაქში რამდენიმე ტერორისტული აქტი განხორციელდა, რომელთა შედეგად 7 კარაბინერი დაიჭრა. პასუხისმგებლობა იკისრა ფილიპე ლაუტაროს — ინდიელ ტომთა არაუკანების ბელადის სახელობის ორგანიზაციამ.

**კუბის** რევოლუციის ლიდერი ფიდელ კასტრო შეხვდა შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტის ჯონ კენედის შვილიშვილს, ბიზნესმენ მაიკლ კენედის. კასტრო დათანხმდა ამერიკელის წინადადებას გადასცეს მაგნიტოფონის ჩანაწერი, რომელშიც 1962 წლის „კარიბის კრიზისის" მოვლენები იქნება ასახული.

**ქუვეითი** ნავთობის მოპოვების ომამდელ დონეს, რომელიც დღეში 1,6 მილიონ ბარელს შეადგენდა, მიაღწევს არაუადრეს ორი-სამი წლისა, იუწყება მენის სააგენტო. 590 ხანძრიდან, რომლებიც ამჟამად საამიროს ნავთობის ველებზე გიზგიზებს, უმრავლესობა მოდის მსოფლიოში სიდიდით მეორე „ბურკანის" საბადოზე, რომელიც შეიცავს დაახლოებით 100 მილიარდ ბარელს, ანუ ქუვეითის ნავთობის მარაგის ნახევარს.

**მოლდოვეთის** რესპუბლიკის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა ჯარების გაძლიერებული ქვეგანაყოფები, რომლებიც ამ რესპუბლიკაში საკავშირო რეფერენდუმისათვის მხარის დასაჭერად გაიგზავნა, გამომწვევად იქცევიან და მოსახლეობასთან შეტაკების პრეცედენტს ქმნიან.

**შეერთებული** შტატების ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა და შეხვდება როგორც ოფიციალურ ხელისუფალთ, ისე დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლებს. მიმომხილველთა აზრით, ნიქსონის ვიზიტი ვაშინგტონის ე. წ. „პარალელური პოლიტიკის" გამოხატულებაა, რომლის დროსაც კავშირურთიერთობა მყარდება როგორც ცენტრთან, ისე რესპუბლიკებთან.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივანი დუგლას ჰერდი საბჭოეთში გაემგზავრა. თავდაპირველად იგი კიევში ჩავა, შეხვდება უკრაინის მთავრობის მეთაურს ფოკინს, შემდეგ კი მოსკოვში გაფრინდება. ვარაუდობენ, რომ საბჭოთა ოფიციალურ პირებთან ჰერდი განიხილავს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პრობლემებს, სპარსეთის ყურეში ომისშემდგომ ვითარებას და ინგლისელი ფერმერებისადმი საბჭოთა დავალიანების საკითხს.

**შეერთებული** შტატების ადმინისტრაციამ კიდევ ერთხელ გააფრთხილა სადამ ჰუსეინი, რომ მას ეკრძალება გამოიყენოს ავიაცია აჯანყებულთა წინააღმდეგ. ეს გადაწყვეტილება თებერვალში მიიღეს ბრძოლების შეწყვეტის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ცნობილი გახდა, რომ ერაყი ამ მიზნით შვეულმფრენებს იყენებს. ამის პასუხად, მოკავშირეთა ჯარებმა 50 კმ-ით გადაინაცვლეს ერაყის სიღრმეში.

**კაიროს** გაზეთი „ალა-ჰბარი" იუწყება, რომ სპარსეთის ყურეში ომის შედეგად ეგვიპტემ 27 მილიარდი დოლარი იზარალა.

**ლიტვის** მხარის დაცვის დეპარტამენტის უფროსი ბუტკიავიჩუსი მძღოლთან ერთად სპეციალური დანაშაულების მილიციის რაზმებმა 12 საათით დააკავეს. „ომონს" ეჭვი ჰქონდა, რომ დეპარტამენტის უფროსი ვეტერანთა საბჭოდან მოპარული მანქანის ნომრებით დადიოდა, იუწყება რადიოსადგური ბი-ბი-სი.

**გელაპის** საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ინსტიტუტის მონაცემებით, კანადის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი შიშობს, რომ ვერ მოხერხდება ერთიანი კანადის შენარჩუნება კვებეკის ფრანგულენოვანი მოსახლეობის ცენტრიდანული პოლიტიკის შედეგად.

**სამხრეთ** აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფრედერიკ დეკლერკმა ხელი მოაწერა ამნისტიას, რომლის ძალითაც 41 ზანგი პოლიტპატიმარი განთავისუფლდა.

**შვეიცარიის** მთავრობამ აკრძალა ბულგარელთა, ალჟირელთა და ინდოელთათვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემა.

## დედაქალაქში აცივდა

**ქუვეითის** დედაქალაქ ელ ქუვეითის მცხოვრებლებს უკვე სამი დღეა მზე არ უნახავთ. იგი დაფარა შავი ბოლის გიგანტურმა ღრუბელმა, რომელიც აალებულმა ნავთობჭაბურღილებმა წარმოშვა. ქალაქში მკვეთრად აცივდა: ქვეყანაში უკვე სერიოზული ეკოლოგიური ცვლილებები შეინიშნება.

## მანიფესტაცია ბასკეთსა და ნავარაში

**12.000-მდე** ესპანელმა მიიღო მონაწილეობა პოლიტიკური ტერორიზმის წინააღმდეგ საპროტესტო მანიფესტაციებსა და მარშებში, რომლებიც ბასკეთის და ნავარის ოლქის 60-ზე მეტ ქალაქსა და დაბა-სოფელში გაიმართა.

ეს მასობრივი აქცია მოეწყო პაციფისტური საზოგადოებრივი ორგანიზაციის „მშვიდობის ჟესტის" საკოორდინაციო კომიტეტის ინიციატივით, რომელიც იღვწის მშვიდობიანი ცხოვრების უფლებისათვის, პოლიტიკური ძალმომრეობის წინააღმდეგ, დემოკრატიული პლურალიზმისა და კონსტრუქციული დიალოგისათვის. მისი საბაბი გახდა გასულ პარასკევს ბასკეთის სეპარატისტული ორგანიზაციის ეტას მიერ სან-სებასტიანში ჩადენილი ტერორისტული აქტი, რომლის შედეგად ერთი კაცი მოკლეს და ხუთი დაჭრეს.

ტერორიზმის მსხვერპლთა ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 1990 წელს ბასკეთში, ნავარასა და კატალონიაში ჩადენილ ტერორისტულ აქტებს ემსხვერპლა 28 კაცი, მათ შორის ათი პოლიციელი. სულ კი 1968 წლიდან, როცა ეტამ მიმართა იარაღს ბასკეთის დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, ტერორისტებმა ესპანეთში 650 კაცი დახოცეს.

## საჩუქრად გამოუყო 5 მილიონი დოლარი

**პრეზიდენტმა** ჯორჯ ბუშმა ორშაბათს გამოაცხადა, რომ დაფუძნდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ფინანსირებული ფონდი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ჩეხოსლოვაკიაში კერძო მეწარმეობის განვითარებას.

ამერიკის ადმინისტრაცია თავდაპირველად ახლად შექმნილ ორგანიზაციას საჩუქრად გამოუყოფს 5 მილიონ დოლარს. მას ეწოდება ჩეხეთისა და სლოვაკეთ-ამერიკის სამეწარმეო ფონდი. შემდეგ თეთრი სახლის მეთაური კონგრესს მოსთხოვს ასიგნებებს — 60 მილიონ დოლარს ამ ფონდის საჭიროებებისათვის, იგი კერძო, უმოგებო ორგანიზაცია იქნება, შეეძლება გამოყოს სესხები, სუბსიდიები და დააბანდოს კაპიტალი ჩეხეთ-სლოვაკეთის კერძო ბიზნესში, აგრეთვე გაუწიოს ტექნიკური დახმარება, მოამზადოს კადრები, რათა უზრუნველყოს „ამ ქვეყანაში კერძო მეწარმეობის ზრდა".

## თვითმფრინავი იძულებით დაჯდა

**ნიუ-იორკი,** 19 მარტი. (საქდესის კორ. ი. კირილჩენკო). კანადის ლაბრადორის ნახევარკუნძულზე იძულებით დაჯდა ამერიკის „დელტა ეირლაინზის" კომპანიის თვითმფრინავი, რომელშიც ხანძარი გაჩნდა. ამას იუწყებიან ატლანტის (ჯორჯიის შტატი) ავიაკომპანიის წარმომადგენლები. გერმანიიდან რეისით მიმავალი „ლ-1011" ლაინერის 218 მგზავრიდან მხოლოდ ერთმა მიიღო მსუბუქი დამწვრობა.

ტრანსატლანტიკური გადაფრენის დროს ხანძარი გაჩნდა საბარგო განყოფილებაში. როგორც ინციდენტის გამოძიების წინასწარი შედეგები გვიჩვენებს, მისი მიზეზი გახდა ელექტროსადენის მოკლე ჩართვა.

კატასტროფა თავიდან აიცილეს ეკიპაჟის წევრთა სწრაფი მოქმედების წყალობით, რომლებმაც ჩააქრეს ცეცხლი, როცა თვითმფრინავი ჯერ კიდევ ცაში იყო.

როცა იგი დაჯდა, ავიაკომპანიამ კანადაში გაგზავნა სხვა ავიალაინერი, რათა მის კლიენტებს შესძლებოდათ განეგრძოთ მოგზაურობა და რაც შეიძლება ნაკლები უხერხულობანი განეცადათ. ამის შედეგად, აღნიშნავს ასოშეიტედ პრესის სააგენტო, მეტი წილი მგზავრებისთვის ცაში მომხდარი ინციდენტი, რომელსაც შეიძლებოდა სერიოზული შედეგები მოჰყოლოდა, ამოიწურა მხოლოდ იმით, რომ ატლანტაში 12 საათის დაგვიანებით ჩავიდნენ.

## ჰაველი ბელგიაში

**ჩეხეთ-სლოვაკეთის** პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი ოფიციალურ სამდღიან ვიზიტად ჩავიდა ბელგიაში, სადაც შეხვდება ბელგიის მეფეს ბოდუენს და პრემიერ-მინისტრ ვილფრიდ მარტენსონს. ჰაველი აგრეთვე შეხვდება ევროპის თანამეგობრობის კომისიისა და ევროპარლამენტის ხელმძღვანელებს. ამ დროს განიხილავენ ჩეხეთ-სლოვაკეთის „საერთო ბაზარში" შესვლის საკითხებს.

ჰაველი იქნება პირველი აღმოსავლეთევროპელი პრეზიდენტი, რომელიც ნატოს შტაბ-ბინაში, რომელიც ბელგიის ქალაქ ევერეში მდებარეობს, სიტყვით გამოვა.

ბელგიაში ვიზიტი ბენილუქსის ქვეყნებში ჰაველის მოგზაურობის მეორე ეტაპია. იგი უკვე იყო ლუქსემბურგში და შემდეგ ჰოლანდიაში გაემგზავრა.

## შიდა ქართლი

# წერილი კოლეგებს

**მივმართავთ დიდად პატივცემულ მეგობრებს — ქალბატონ ირინა არხიპოვას, ბატონებს — ანდრე კაზანცევს, ნიკოლოზ კუზნეკოვს, ოლეგ ეფრემოვს, იგორ ზაიცევს, კირილ ლავროვს, სერგეი მიხალკოვს, იური პლატონოვს, ედუარდ ზაგალაევს, ტიხონ ხრენიკოვს, დავლათ ხუდონაზაროვს.**

გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში" ამას წინათ გამოქვეყნებული იყო თქვენი ერთობლივი სტატია, რომელშიც, სამწუხაროდ, აშკარად ჩანს თქვენი გულგრილი და ზერელე, ცალმხრივი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, იგი ჭკუის დამრიგებლური და „ბრძნული" აზრებითაა დამშვენებული.

მართალია, თქვენ თურმე ათეული წლების მანძილზე მეგობრობთ საქართველოსთან, ქართველ მსახიობებთან, მწერლებთან და პოეტებთან, მომღერლებთან, კომპოზიტორებთან, კინო და თეატრალურ რეჟისორებთან და ყველა სხვა პროფესიის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეებთან, მაგრამ, ჩემო უფროსო დებო და ძმებო და ჩვენო ჭკუის დამრიგებლებო, თურმე ნაკლებად და მცირედ ყოფილხართ გათვითცნობიერებული ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხში. კერძოდ იმაში, თუ ვინ ვართ ჩვენ ქართველები, რა წარსული გვაქვს, რით ვსუნთქავთ დღეს და რა გვწადია მომავლისათვის.

ამიტომ ურიგო არ იქნება მცირე რამ ცნობები მოგაწოდოთ ჩვენზე, რათა ელემენტარული და ზოგადი წარმოდგენა მაინც გქონდეთ თქვენს უმცროს და მცირეეროვან საქართველოს დღევანდელობისა და სამომავლო მიზნების შესახებ.

ჩემო ძვირფასებო, უდიდესი კულტურის ადამიანებო, თქვენ თურმე ისიც არ გცოდნიათ, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ხელოვნურად შეიქმნა 1921 წელს, რომ სამაჩაბლო საქართველოს ცენტრალური ნაწილია და ქართველებს ეკუთვნის და არა ოსებს. თქვენ, რასაკვირველია, გეტყობათ „კარგად" იცით საბჭოთა იმპერიაში შემავალი ხალხების ისტორია, მაგრამ ბევრი რამ გეშლებათ.

თქვენს გასათვითცნობიერებლად სულ მოკლედ შეიძლება იქიდან დავიწყოთ, რომ საქართველომ ქრისტიანობა — ყველაზე პროგრესული მართლმადიდებლური რწმენა — მიიღო მეოთხე საუკუნეში.

ქართველებს აქვთ თავიანთი დამწერლობა იმ თოთხმეტი დამწერლობიდან, რაც მსოფლიოში არსებობს, სრულიად ორიგინალური და სხვებისაგან განსხვავებული.

ქართულ კულტურას ყოველთვის ჰქონდა თავისი ეროვნული ხელწერა და არავის გავლენის ქვეშ იგი არასოდეს არ მოქცეულა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ისტორიულად ბლომად ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

არქიტექტურა, მუსიკა, მხატვრობა, როკვა, ხალხური სიმღერები, უდიდესი და უმდიდრესი ბრძნული ფოლკლორი და ნამდვილად უდიდესი პოეზია.

კარგი იქნებოდა, წაკითხული გქონდეთ ჩვენი ხალხური შედევრი — ბალადა „ვეფხვისა და მოყმისა", სადაც ქართველი კაცის ხასიათის დიდბუნებოვნების დამამშვენებელი თვისება — შემწყნარებლობა — თვალსაჩინოდ ჩანს.

ვინაიდან აქამდე არ წაგიკითხავთ, საფიქრებელია, არც კვლავ წაიკითხავთ და ამიტომ მოკლედ გეტყვით ამ ბალადის შინაარსს.

სანადიროდ წასულ ჭაბუკს წინ ვეფხვი შემოეყარა. ვეფხვი, მოგეხსენებათ, შემტევი და სახიფათო მტაცებელია. ჭაბუკი დიდად მამაცი და ვაჟკაცი იყო, იგი ღირსეულად დაუხვდა ვეფხვს. ამ ორთაბრძოლაში ვეფხვმა და ჭაბუკმა ერთმანეთი დახოცეს — ორივე დაიღუპა. ყრმის დედა ტირის და მოსთქვამს დაღუპულ შვილს, მაგრამ სიამაყითაც ამბობს, რომ, მადლობა ღმერთს, ერთი შვილი მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარიო. მწუხარე ქალს უცებ გაახსენდება, რომ იმ მოკლულ ვეფხვსაც ყავს დედა, შვილის გაჩენა ვინ თქვა უდედოდ. ჰოდა, ეს მოკლული მოყმის გამწარებული დედა მიდის ვეფხვის დედის სანახავად, რომ მიუსამძიმროს მას შვილის სიკვდილი, ანუგეშოს მწუხარე დედა, გაამხნევოს და გაუადვილოს დარდი, ერთად, გვერდი-გვერდ დასხდნენ ეს ორი დედა და ერთად იგლოვონ მკვდარი შვილები. მე რომ კაცმა მკითხოს, ამაზე მეტი ჰუმანურობა და შემწყნარებლობა ქვეყნად არ არსებობს.

ახლა რა ხდება სამაჩაბლოში? ტყვიას გვიშენენ ოსები — გვკლავენ, გვაწიოკებენ, ჩვენ შვილებს ხოცავენ და ჩვენ კი ვეუბნებით: დამშვიდდით, ძვირფასებო, შეწყვიტეთ ხოცვა-ჟლეტა, ძმურად ერთად ვიცხოვროთ, არსად არ გერეკებით, არაფერს არ გართმევთ, ოღონდაც ტკბილად, მეგობრულად ვიცხოვროთ, როგორც აქამდე ვიყავით, ისეო. ამას ქართველების გარდა ვინ იტყვის სხვა?

ყოველი ქართველი ბუნებით პოეტია, ამღერებული სული აქვს. არ მოიძებნება საქართველოში არც ერთი კაცი, ვისაც ოდესმე არ უცდია ლექსის დაწერა.

შეგახსენებთ, ერთმა სომეხმა პოეტმა თქვა: ყოველი ქართველი პოეტია, ხოლო ქართველი პოეტი ორგზის პოეტიაო.

მთელი ჩვენი პატარა მიწა მოფენილია არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშებით, მოხატულია განუმეორებელი ფრესკებით.

დავიჯერო, თქვენ არ გიხილავთ ჩვენი ჯვარი, სვეტიცხოველი, მცხეთა, გელათი, ბაგრატი, ალავერდი, მარტვილი, სიონი, ანანური და აურაცხელი დიდი ტაძრები, ზოგი იავარქმნილი და დანგრეული ძალით, ზოგიც დამპყრობელთა მიერ მიტაცებული და ამჟამადაც ტყვეობაში მყოფი. ჩვენი მძლავრი ციხებურჯები, მთის მწვერვალებზე მდგარი, დღესაც ამშვენებს ჩემს ლამაზ და ზღაპრულ საქართველოს. კარგი იყო გენახათ ყოველივე ეს და თუ არ ნახავდით, წაგეკითხათ მაინც, მათზე მთელ მსოფლიოში არსებული დიდძალი ლიტერატურა.

ჩვენი ერი საუკუნეების მანძილზე მხოლოდ თავს იცავდა, მას არასოდეს არ გადაუხდია დამპყრობლური ომები, ჩემს ხალხს თავისი მიწის ისეთი დიდი სიყვარული აქვს, რომ სხვაგან ცხოვრებას თავის მიწაზე სიკვდილი ურჩევნია.

ერთიც კარგად დაიხსომეთ: საქართველოში საუკუნეების წინათ ორი აკადემია არსებობდა — იყალთოსი და გელათისა.

ჩვენი წინაპრებია, მაგალითად, იოანე პეტრიწი და შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანში" პირდაპირ არის ნათქვამი, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი და როგორ მეგობრულად უნდა ცხოვრობდნენ ხალხები, სიმართლისათვის როგორ იბრძოდნენ სხვადასხვა ერების ავთანდილები, ტარიელები, ფრიდონები — ქაჯთა ბოროტებისა და ტირანიის წინააღმდეგ.

ჩვენი ერი ამ პრინციპებზე ჩამოყალიბდა. ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ ნაციონალისტები და დამპყრობლები. ჩვენ გვიპყრობდნენ, მაგრამ არავის ვემონებოდით, ვიცავდით თავს, გვანგრევდნენ, გვანადგურებდნენ, გვწვავდნენ და ჩვენ ისევ ფერფლიდან ვანახლებდით სიცოცხლეს, ისევ ვაშენებდით და ისევ ვძლიერდებოდით. და ასე დღემდე შევინარჩუნეთ ჩვენი თავი და სამშობლო.

თქვენ კი გინდათ, რომ დაგვადანაშაულოთ, დაგვამდაბლოთ. ხშირად ყოფილხართ ჩვენი სტუმრები, მოიგონეთ, კარგად მოიგონეთ, ნუთუ ყველაფერი დაგავიწყდათ? მე კარგად მახსოვს ხელოვნებისა და ლიტერატურის ქურუმები. თქვენი წინა თაობა და თქვენც, ბატონებო, საქართველოში ჩამოდიოდით, შემოქმედებითი თუ დასვენების ნეტარ დღეებს ატარებდით ზღაპრულ მთაბარში, რათა, თქვენივე თქმით, აქ მიღებული ქართული მეგობრობის სითბო, სიყვარული და გულითადობა, სილაღე და სტუმართმოყვარეობა, ლხინი და ჯადოსნური ქართული ეროვნული კაცთმოყვარეობით გამთბარი სული წლიდან წლამდე გაგყოლოდათ ხოლმე პირადი ცხოვრების გასალამაზებლად და შემოქმედების საზრდოდ. სად გაქრა, სად წავიდა ეს წლობით ნაწრთობი და ნალოლიავები მეგობრობა?

რამ შეცვალა თქვენი გუნება-განწყობა ჩვენს მიმართ? შორიდან რომ გულგრილად და ზედაპირულად მსჯელობთ, ჩამოდით, ნახეთ რა ხდება საქართველოში, როგორ დატოვა ქართველმა ხალხმა თავიანთ მიწაზე გაძარცვული და დალეწილი ბინები, ქართველი მოსახლეობის სისხლით მორწყული, გადამწვარი კარ-მიდამო და სახლები, როგორ აივსო ლტოლვილი ბავშვებით და ქალებით მთელი საქართველო.

ქართველ კაცს თავისი სახლიდან და სამფლობელოდან აგდებენ. ვინ? უცხო მხრიდან ხიზნებად მოსული ოსები, რომლებიც სარგებლობენ ყველა იმ სიკეთით, რაც თვითონ ქართველსაც კი არა აქვს.

მოსკოვის ტელევიზია, რადიო, მთავრობა, გაზეთები და თურმე თქვენც კი, პატივცემულო ხელოვნების ქურუმებო, საგნებს სულ უკუღმა და უკუღმართად აღიქვამთ.

თქვენ ეს არ გეკადრებათ. როდესაც ვუსმენთ რადიოს, ვნახულობთ ტელეგადაცემებს, ვკითხულობთ თქვენს გაზეთებს, სინანულისა და აღშფოთების საოცარი გრძნობა გვეუფლება. თქვენ ქომაგობთ ჩრდილო ოსეთში, ეს იგი, თავიანთ სამშობლოში გახიზნულ ოს ბავშვებს და ქალებს, იმ ქალებს, რომლებიც დაჭრილ ქართველებს თავში სკამებს ურტყამენ. განა ესაა სამართლიანობა?

იმ დროს, როდესაც ჩვენ უარი ვთქვით კომუნისტურ რეჟიმზე და გვინდა ავაშენოთ დემოკრატიული ქვეყანა, თქვენ იმის მაგივრად, რომ გვერდში გვედგეთ, კვლავ გვიქადაგებთ, რომ მონებად დავრჩეთ. ცენტრი გვემუქრება, ისევე იქცევა, როგორც ჩვენი „ძვირფასი შვილი" სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც გააჩუქა ქართული მიწები, ერთგულად ახორციელებდა დიდმპყრობელურ ლოზუნგს: „დაჰყავი და იბატონე!".

მაგრამ ბატონობის უფლება არავის აღარ უნდა ჰქონდეს. ჩვენ გვესმის, რა საშიშროების წინაშეც ვდგავართ. გვეგონა, რომ რუსი ინტელიგენცია და ნამდვილად დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანები გვერდში დაგვიდგებოდით, მაგრამ თურმე იესო ქრისტეს მეტი დამცველი ჩვენ არ გვყოლია.

ღმერთო მაღალო, დაიცავი ჩემი სამშობლო!

**დოდო ჭიჭინაძე,**
საქართველოს სახალხო არტისტი.

